სახალხო გაზეთი

№ 131 ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდ წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. № 12.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул., N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

******ხელის-მომწერთა საყურადღებოდ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 9.

ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

შავი ბერი

დრამა 3 მოქმედებად და 4 სურათად.

II

ა. ჩეხოვის მოთხრობიდან გადაკეთებული ლ. ლ. ტოლსტოის მიერ თარგმანი ლ. ს. ალექსი-მესხიშვილისა.

„არც აქეთ, არც იქით“

ვოდევილი 1 მოქმედებად გ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ბ-ნნი: დავითაშვილი ნ., შოთაძე ა., ჩერქეზიშვილი ე., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი: აბაშიძე ვ., ალექსი-მესხიშვილი ვლ., არადელი გ., ალექსიძე ა., გვარამძე ნ., ივანიძე ი., ყიფიძე ი., ზარდალიშვილი ი., მატარაძე ვ., მგალობლიშვილი დ., მამფორია ა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოება, რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. ფოიერები ლოჟებში მაყურებლისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებს, ამიტომ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „ნიშანი ყოფა-ქცევაში“, „ქალის ჭკუა“ და სხ.

რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოვიდა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

● ● დიდ ძალი ● ●

◀ ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, ▶

იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

გაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს საკოსტიუმოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში. მისიოდ, ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩაზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—12)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და პაიშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გურკო ვ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი გ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

სობოლევსკი ზ. ზ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მიიღება საფასურით (200—ნ.—299)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. გამბაშიძე—ყოველ დღე 9—11 ს. ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. კბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ა. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მ. ოსიპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—462)

„სახალხო გაზეთის“ კანტორა

აცხადებს, რომ 1 ღვინობისთვიდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც წლის ბოლომდის არ ჰქონდა 8 მან. 50 კაპ. შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 1 ოქტომბრისთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ენკენისთვეს უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დააჩქარონ და შემოიტანონ.

ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ: Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დააჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა.

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი
ბიურო

რომელსაც შეადგენენ გაზეთები: „სახალხო გაზეთი“, „საქმე“, „ზაკავკაზია“, „ნოვაია რეჩი“ და ჟურნალები „მათრახი და სალამური“, „ერი“ და „თეატრი და ცხოვრება“, ჰყავს შემდეგი აგენტები:

გორში—მ. არჩვაძე.

მიხაილოვში—ს. ბატმანოვი.

ყვირილაში—ი. გაჩეჩილაძე.

ჭიათურაში—ებანოიძე.

ქუთაისში—ის. კვიცარიძე.

სამტრედიაში—ი. ურუშაძე.

ლანჩხუთში—მატიტაშვილი.

ფოთში—ს. ორაგველიძე.

ბათუმში—გ. მახარაძე.

თელავში—ონიკაშვილი.

სიღნაღში—ხატიევი.

ბაქოში—ნ. აბაშიძე.

სოხუმში—ნ. ჯანანია და

ერევანში—ა. მესანოვი.

საჭიროა აგენტი

ელისავეტპოლში (განჯა), დი ყარსში, ალექსანდროპოლში, ჩოხატაურში, ნოვოროსიისკში, ეკატერინოდარში, ნუხაში, შემახაში, ვლადიკავკავში, არმავირში, დონ.-როსტოვში, ჯულფაში და დარუბანდში!

აგენტობის მსურველებმა უნდა მიმართონ ბიუროს გამგეს ერასტი დავითის ძეს გორდელაძეს: Въ нотаріусъ Мегрелидзе деладзе.

ნაფიცი ვექილი

გრიგოლ დიასამიძე

დაბრუნდა.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 ს. და საღამოს 6—7 ს. ბინა: ოლგას ქუჩა, ახლი № 4. (5—136—2)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე **გადავიდა** იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი ი. გაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—735)

ექიმი რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაგინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—9)

ექიმი მ. ს. არჯევანიძე **ქუთაისში.** იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგილოვისა. (25—9—22)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^1/_2$—$6^1/_2$ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზაღ.—50)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს., საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაპარიძისა. (ფ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (ფ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ფ)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გამინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოფილაანოვის ქ. 20. (0—6.—64)

გამოცდილი მასწავლებელი

ვამზადებ ბავშვებს ქართულ გიმნაზიისთვის 1 კლ. ვამეორებინებ გაკვეთილებს ქართულ გიმნაზიის დაბალ კლასიან მოწაფეებს და სხვა სასწავლებლისას პირობით.

გუნიბის ქუჩა N 16 სახლი ოქროპირიძისა. (2—143—1)

აგენტი

ი. გ. ხალათიანი

რეკლამებს, პუბლიკაციასა და განცხადებას

ვასრულებ ადგილობრივსა და რუსეთის სხვა ქალაქების გაზეთებსა და ჟურნალებში, მლიერ შეღავათიანის პირობებით, **ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით.** ვასრულებ აგრეთვე ყოველგვარ სტამბის საქმეს. დიდი ხნის გამოცდილება მაქვს. გთხოვთ სხვა აგენტებს არ დამადაროთ.

დროებითი ადრესი: გაზ. „Нов. рѣчь“-ის კანტორა, ტელეფ. № 20.

ყოველ დავალებას პირნათლად ვასრულებ ყველა რეკლამებს თვითონვე ვადგენ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მართლ-მსაჯულების მინისტრის ამას წინად კავკასიაში ჩამოსვლამ და მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ, რომლის დედა-აზრიც იყო „ქმნა რუსულის სამართლისა“ ჩვენებურის პრესის სამართლიანი მსჯავრი გამოიწვია.

ახლა ამ მსჯავრის განქიქებას შესდგომია ბ-ნი კარლო ჩხეიძე და გაზეთ „ახალი აზრის“ მეცხრე ნომერში აი რას ამბობს ჩვენის გაზეთის შესახებ:

„სახალხო გაზეთი“ ჯერ გვარიგებს ჭკუას მალა არ დაატანოთ, არზეინათ იყავით, მინისტრმა სულ ადგილი გასაგები რამე სთქვაო. კავკასიის საზოგადო წრეებს იმედი ქონდა, მოლოდინში იყო მინისტრისაგან გაიგონებდენ რამეს საჭირბოროტო კითხვებზე (ადგილობრივი ენები სასამართლოებში, ნაფიცი მსაჯულები, და სხვ.) მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მინისტრმა მხოლოდ ერთი რამ სთქვა: რუსული სასამართლო კავკასიაშიო, სხვა არაფერი. გაზეთის აზრით ეს გარემოება სასამართლოს და ხალხს თიშავს, ერთი მეორეს აშორებს, მცხოვრებლებში უნდობლობას თესავს.

აღნიშნავს რა ასეთ ამბავს, გაზეთი გულწრფელად აცხადებს, რომ მას ვერ გაუგია, რა უმაღლესი პოლიტიკა უნდა მოითხოვდეს განმაცალკევებელ გარემოების ხაზ გასმით აღნიშნავს.

„ნუ თუ შესაწყნარებელია—ეკითხება მინისტს „სახალხო გაზეთი“, რომ სასამართლოს რუსულ ხასიათს შეეწიროს მსხვერპლად ხალხის და სამოქალაქო დაწესებულების საურთიერთო ნდობაო“?

ჩვენ არ ვიცით, ბ-ნი ჩხეიძე „დაატანს ძალას თავის მკითხველების ჭკუას“ და ახალს რამეს გვეტყვის თუ არა, ვინაიდან ბ-ნ ჩხეიძეს ჯერ თავისი წერილები არ დაუმთავრებია, მაგრამ ის კი თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არამც თუ მეორე ჯგუფის უბრალო მომაკვდავი, არამედ ამ ჯგუფის რჩეულებსაც კი ვერ შეუგნიათ ნამდვილი აზრი ჩვენგან ნათქვამისა და რაღა საკვირველია, რომ ჩვეულებრივად იგანცაშონ.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ოქტომბერი.

საზღვარ-გარეთ

ბერლინი. ოსმალეთისათვის სესხის მისაკემად თანხის გაღებაში, ავსტრიის ბანკებიც მიიღებენ მონაწილეობას, რათა ამით დაამტკიცონ, რომ გერმანია და ავსტრია ფინანსიურ საქმეებშიაც ერთ სულ და ერთ გულ არიან. „ფრან. ცეიტ.“-ის აზრით, ოსმალეთმა გაიმარჯვა სესხის საკითხის მოწყობაში. გერმანია რომ სესხს სთავაზობს ქეობას არა, გერმანიას თავისი საკუთარი ინტერესები აქვს ოსმალეთში, და ამ ინტერესების შერყევას გერმანია რაღაც ფინანსიურ კრიზისის გამო არ დასჩრდილავს. ოსმალეთ-გერმანიის ფინანსიური ოპერაცია, ოსმალეთში გერმანიის გავლენას იმდენად განამტკიცებს, რომ ახლო მომავალში ყველა იგრძნობს ამას. გერმანიას სურს თავისი ეროვნული ძალ ღონე მშვიდობიანისა და თავისუფალის გზით განავითაროს.

ბრიუსსელი. ნაშუადღევის სამის ნახევარზე ჩამოვიდნენ იმპერატორი ვილჰელმი, დედოფალი და პრინცესსა ვიქტორიალუიზა. სასახლეს დიდებული დასტრიალებს.

პარიზი პალატის სხდომის გახსნის შემდეგ, სოციალისტებმა, კარებში მდგომ პოლიციის პრეფექტი ლეპინი რომ დაინახეს, სტვენას აუწერელი ღრიანცელი. პრეზიდენტი იძულებული შეიქმნა სხდომა შეეწყვიტა. სხდომის განახლების შემდეგ, ბრიანის თხოვნით, ყველა ინტერპელიაციები რკინის გზის გაფიცვისა შეაერთეს. პალატამ დაადგინა ეს ინტერპელიაციები დაუყოვნებლივ განიხილოს. რუიკლ კუნიმ განაცხადა, რომ რკინის გზის მსახურთა მოთხოვნილებანი სამართლიანია, მაგრამ გაფიცვის უფლება არა ჰქონდათო. სოციალისტმა კოლიმ სასტიკად გაკიცხა ბრიანი მუშების წინააღმდეგ ჯარის გამოწვევისათვის.

მაგდენბურგი. პორუჩიკი მენტე, რომელიც გაფრინდა—აპარატიანად ჩამოვარდა და დაიმსხვრა. დირიჟაბლი „პარსევალი“ 6“ მოვიდა ბიტტერფელდიდან. ფრენამ $2^1/_4$ საათს გასტანა.

ათინა. პალატამ, 208 ხმის უმრავლესობით 31 წინააღმდეგ, გამოუცხადა ნდობა ვენიზელოსს; ამის და მიუხედავად ვენიზელოსს განზრახვა აქვს პალატა დაითხოვოს, რადგან ბევრმა დეპუტატმა მხოლოდ თავაზიანობისთვის მისცა ხმა.

რ უ ს ე თ ი

პეტერბურგი. სავაჭრო მინისტრმა ბაქოს ნავთის მწარმოებელთ ნება დართო, 30 ნოემბერს კრება მოახდინონ.

სევასტოპოლი. სამხედრო სასამართლომ გადაწყვიტა სიკვდილით დასჯა 3 ქართველს, რომელთაც ვაგონში საერთაშორისო ბანკის მეარტელეს 10,000 მანეთი წაართვეს.

კიევი. კრებამ გადასდო 6000 მანეთი ამ ფულით 12 მაზრაში სასკოლო დღესასწაულს გამართავენ გლეხთა განთავისუფლების მოსაგონებლად.

პეტერბურგი. საბჭოს თავმჯდომარედ ნამყოფმა ვოლოვინმა საბჭოს წევრებს თავი დაანება.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება „შავი ბერი“ ლ. ლ. ტოლსტოის მიერ გადმოკეთებული ჩეხოვის მოთხრობიდან. ეს პიესა შარშან წარმოდგენილი იყო—ვლ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ და დიდი ხალხი მიიზიდა. უმთავრეს როლებს ასრულებენ ქ-ნი დავითაშვილი და ვლ. ალექსი-მესხიშვილი. დასასრულ ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვოდევილი—„არც აქეთ, არც იქით“.

კის საბჭოს წარედგინა დასამტკიცებლად საერობო ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ სამის წლისა. ამ ხარჯთ-აღრიცხვით კავკასიას წელიწადში მიეცემა 476,000 მან. $66^2/_3$ კაპ., სულ სამის წლის განმავლობაში 1,428,002 მან.

◆ **ახალი განკარგულება.** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი საყოველთაოდ აცხადებს, რომ მომავალ 1911 წლის 1 იანვრიდან გაბათილებულია ძველი სახის მარკები 35 კაპ., 1 მანეთიანი, აგრეთვე 3 და 6 კაპეიკიანი საფოსტო ღია წერილები და ფოსტაში აღარ მიიღებენ.

◆ **როგორც ქუთაისიდან გვწერენ,** დღეს, 14 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში **ალ. წუწუნავა,** გამართავს უკანასკნელ წარმოდგენას—საკონცერტო განყოფილებით. სხვათა შორის, შესრულებული იქნება მუსიკალური ეტიუდი ლექსად **„პრიიმზე“.** მუს. კ. ფოცხვერაშვილისა, სიტყვები შოთა დადიანის, რომელშიაც მონაწილეობს ხორო და სიმებიანი ორკესტრი ავტორის ლოტბარობით. შესრულებულ იქნება რამდენიმე რომანსი და ნაწყვეტები, თხზული კ. ფოცხვერაშვილის მიერ. დასასრულ, ქართულ თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილ იქნება „აშენდა საქართველო“.

◆ **ბ-ნ ნიკოლაძის უარი.** ამ სამი დღის წინად ბ-ნ ნაზაროვის მეთაურობით ქუთაისიდან ფოთში გაემგზავრა რამდენიმე კაცი და ბ-ნ ნიკოლაძეს ქუთაისის ქალაქის თავობა სთხოვეს, მაგრამ ამ სანდგუტაციამ უარი მიიღო და ყველანი გულ-ნატკენნი უკანვე დაბრუნდნენ.

◆ **სახელმწიფო ეგზამენები.** სახალხო განათლების მინისტრმა ამ შემოდგომისთვის დაუნიშნავს სახელმწიფო ეგზამენები პეტერბურგისა, მოსკოვისა და ყაზანის უნივერსიტეტებში იმ პირთათვის, რო-

მელნიც იურიდიულ ფაკულტეტს ათავებენ.

გადასახლებული. 12 ოქტომბერს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო გრიგოლ იოსების ძე შაქარაშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული იყო და თავის ნებით დაბრუნდა.

◆ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** მოკლე ხანში [illegible] საფილოქსერო სამი [illegible] დაარსდება: [illegible]ეთისთვის, გორში—ქართლისათვის და ტფილისში—ბორჩალოს მაზრისთვის.

◆ **თავის მოკვლა.** 12 ოქტომბერს მუშტაიდში კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა „ექსელანსის“ მაღაზიის ნოქარმა არმანს სააკიანცმა (17 წლისა).

◆ **ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიაში.** ტფ. ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიის გამგემ განცხადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში და სთხოვს კერძო ანალიზების შემოსავლის პროცენტები ლაბორატორიის მოსამსახურეთაც მიეცითო.

◆ **ნორმალური დასვენება.** დღეს მოხდება ქალაქის საგანგებო კომისიის კრება, რომელსაც დავალებული აქვს წესები შეიმუშაოს სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების დასვენების შესახებ.

◆ **სამსახურში დანიშვნა.** ტფ. ოლქის სასამართლოს თავჯდომარე კუნიცინი ტფ. სასამართლო პალატის უფროსად დაინიშნა,

◆ **ტფ. ქალაქის სამხედრო საკრებულოში.** 15 ოქტომბერს დაიწყება სამხედრო საკრებულოს კრებები 1911 წელს სამხედრო სამსახურში გაწვეულ ახალგაზრდათა მისაღებად.

◆ **ახალი პიესა.** პ. ირეთელს დაუწერია ქართულად ერთმოქმედებიანი კომედია „ორშაბათი“.

◆ **კრება.** დღეს ქ. შ. წ. კითხვის გ. საზოგადოების მთავარ გამგეობის წევრთა მორიგი კრება მოხდება.

◆ [illegible]. უკვე დაიწყო ელექ[illegible] ბილეთით მგზავრის მისვლა [illegible] ერევნის მოედნამდე.

◆ 12 ოქტომბერს საერთო ჩხრეკა-დაპატიმრების დროს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო 44 უპასპორტო

◆ 9 ოქტომბერს, გასილ გოგიაშვილის სახლიდან, აჯაბადის ქუჩაზე, გამოსულა 9 წლის შაგირდი მაქრო ჯირკვლიაშვილი და დღესაც არ დაბრუნებულა. ბავშვს აცვია ზოლებიანი ხალათი, ტან მორჩილი და სანდომიანი სახის.

◆ 9 ოქტომბერს მნაცაკანოვის ხიდთან თავს დაესხა ილია ჩხიკვაძეს ორი ხანჯლით აღჭურვილი ყაჩაღი და 26 მანეთი წაართვა. ჩხიკვაძის ჩვენებით, დააპატიმრეს გარიდ შენგელია.

—

შეცდომის გასწორება. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ მიღებულ „შემოწირულებაში“ შეცდომით არის დაბეჭდილი: ორი ფრიად საყურადღებო **ბადია**, უნდა იყოს ორი ფრიად საყურადღებო **ბალთა**. მეორე ადგილასაც **ბალთას** მაგივრად შეცდომით **ბადიაა** დაბეჭდილი.

ᲛᲪᲘᲠᲔᲓᲘ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

(წერილი რედაქციისადმი).

საჭიროდ მიმაჩნია გაუწყოთ, რომ ჩემი წიგნები პეტერბურგში გაიგზავნა არა „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობის გადაწყვეტილებით, როგორც ეს შეცდომით იყო ნათქვამი „სახალხო გაზეთში“, არამედ თანახმად ჩემის სურვილისა და განკარგულებისა და ჩემივე ხარჯით. წარსულს თვეში ერთმა ქართველმა სტუდენტმა პეტერბურგის უნივერსიტეტისამ წაიღო გამგეობის წიგნის მაღაზიიდან ყველა ჩემი ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები ჩვენებური პროფესორებისა და დეპუტატებისათვის. ამას წინედ კიდევ გამგემ იმავ წიგნის მაღაზიისამ გაუგზავნა დამსახურებულს პროფესორს ალექსანდრე ანტონის ძეს ცაგარელს ჩემი რუსული წიგნები (**Какъ поднять кавказскую народную школу, Разборъ учебныхъ руководствъ порусскому языку** და სხვანი) და ჩემი რუსული სახელმძღვანელო Русское Слово ორივე ნაწილი მეთოდიკური. ყველა ეს წიგნები გაიგზავნა არა თითო ცალობით, არამედ რამდენსამე ცალად. ეს გაგზავნა გამოიწვია ორმა გარემოებამ: როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან ახლო მომავალში სათათბიროში უნდა განიხილოს პროექტი **ინოროდცების** სახალხო სკოლებისა, და რომ ეს პროექტი სახარბიელოს არას გვიმზადებს, სჩანს, სხვათა შორის, იქიდან, რომ იმავე გაზეთებში იწერებიან: კადეტები ემზადებიან გა[illegible].

მეორე გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთში ბევრს, ძალიან ბევრს, ქართველობა მიაჩნია ველურ ხალხად, რომელსაც არ აბადია ლიტერატურა, არც საზოგადო და არც სამოსწავლო, და თითქმის შეუძლებლად ჰხდის სწავლებას „დედა—ენაზე“ ჩვენს სკოლებში და თვით ქართულის ენის სწავლებასაც. ჩვენებური პროფესორები და დეპუტატები გააცნობენ სათათბიროს ლიდერებს გაგზავნილის წიგნების საშუალებით საქმის მდგომარეობასა, აგრეთვე შეუძლიანთ რუსული პერიოდული გამოცემებიც ჩაურიონ ამ საქმეში და საქმის წაღმა დატრიალება გაადვილონ.

კარგი იქნება, რომ სხვა ქართველმა ავტორებმაც გაუგზავნონ თავისი წიგნები და სახელმძღვანელოები.

იაკობ გოგებაშვილი.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲛᲝᲒᲕᲗᲐ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲪᲔᲛᲐ

(ქუთათური ზღაპარი).

ქალაქი ერთი „უთაო“ თავს დაეძებდა, მაგრამ თავს არა ჩვეულებრივს, არამედ ისეთს, რომელსაც „ასი თვალი უნდა გამოება და ასი ყური გამოესხა, ყოველივე გაეგო და შეეტყო რაც ხდებოდა ცასა შინა და ქვეშე ქვეყანისა...

მაგრამ სად იყო ესეთი მხსნელი მესსია.

„არსით ხსნა, არსით საშველი“, მწარედ და ნაღვლიანად ჰფიქრობდნენ ვარსკვლავთ-მრიცხველნი და მოწყენით გაჰყურებდნენ ცის კიდურს და... აჰა, საკვირველებავ!.. იქ, დასავლეთით, სადაც მხოლოდ მდევის ოდენა ვარსკვლავნი ჩნდებოდნენ ხოლმე, უცბად გამოშუქა ვარსკვლავმა დიადმა, შუქ-მფენმა. მისმა ელვარებამ დაჩრდილა ყველა მნათობი სამყაროისა.

შეიძრა მთელი ქალაქი. შეიკრიბნენ მწიგნობარნი და სწავლულნი და ერთხმად დიდად ჰყვეს:

„წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, შობა ესე მაცხოვრისა ჩვენისა“!.. მოძღვარი ვინმე და ოცდა ათხი ძმანი მისნი მყისვე გაუდგნენ გზას წმიდასა მის ვარსკვლავისა ბინის აღმოსაჩენად.

ცოტა იარეს თუ ბევრი, იარეს, მიადგნენ ერთსა წყაროსა—შავ-ზღვად წოდებულსა. შუქურ-ვარსკვლავიც ამ ადგილიდან ფეხს აღარ იცვლის. და ჰაი, საკვირველებავ, ბაგას ნაცვლად ორ სართულიან თუნუქის სახურავს დაჰქათქათებს თავზედ...

მოძღვარმა მან მოწიწებით შეაღო კარი, მოგვნი კრძალვით მას მიჰყვნენ და მიუკიდეს რა წმიდასა მას სანთელსა, ხმა ჰყვეს ხმითა დიდითა:

ერმა იგი, ნიკოდიმოსი სახელწოდებითა, ჭერედ ღრმა დიდის ძილის მზვრინავი ნეტარებათა გადვიძებულ იქმნა.

მეტად განრისხდა ასეთ კადნიერ მეალილოთა ზედა, წაატანა ცოცხსა ხელი თვისი და [illegible] თითეულსა მათგანსა ორ-ორი წკეპლა.

მოგვნი უქუდოდ დაბრუნდნენ ქალაქსა მას უთაოსა.

ჯ—ფ—შ.

ᲮᲛᲐ ᲑᲐᲥᲝᲓᲐᲜ

ძველი და ახალი საზოგადოება. ახალი მოღვაწეები, ქართული სკოლა. ბაქოს ქალაქის საბჭო და ჩვენი თხოვნა მიწისა სასკოლო შენობისათვის. უარის თქმა საბჭოს მიერ და ამისი შედეგები.

ერთს დროს ბაქოს ქართველების ამბავს ხშირად ამოიკითხავდით ქართულ გაზეთების ფურცლებზე. მერე შესწყდა ეს ხმა ისე, თითქოს ბაქოში ქართველობა მოსპობილიყოს. აწ-კი დადგა ჟამი კვლავ ვესაუბროთ ქართველ მკითხველებს ბაქოს ქართველობის ავლა-დიდებაზე. თუმცა ეს ავლა-დიდება კატას აეკიდება, მაგრამ რა გაეწყობა? ჩვენ მაინც გულს არ გავიტეხთ, რა გავიხსენებთ, რომ ზღვაც კოვზით დაილევაო.

უნდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნული გარემოება დამოკიდებულია თვით ცხოვრების მაჯის ცემაზე. 1905 წელი და მის მოყოლებული ისეთი წლები იყო, რომ მაშინ ბლუმაც კი ხმა ამოიღო და კუტმაც ლეკური დაუარა. მაშინ, რასაკვირველია, ბაქოშიაც მრავალი საზოგადო მოღვაწე გამოჩნდა და უფრო—ბევრი ორატორი. მაშინ დაარსდა აქ „ქართული საზოგადოება“ დამტკიცებულის წესდებით, აღორძინდა მშობლიური სცენა, საკუთარი თეატრი და სხვა და სხვა.

დღენი იცვალნენ. აღმა-ფრენას დაღმა-სვლა მოჰყვა. იმედებს ფრთები შეეკვეცა. საზოგადო გულგრილობამ, საერთო უიმედობამ ყველა თავის ქსელში ჩაითრია. ჰირსა შინა გამაგრება ვეღარ მოვახერხეთ და ყოველივე ის, რაც ისეთის სათუთობით აღვზარდეთ და დავაწესეთ, მოგვესპო. ქართველები არა თუ ისევ ვიყავით ნავთის ქალაქში, პირ იქით ჩვენი რიცხვი დღითი-დღე მატულობს ახალ ჩამოსულებით, ხოლო ქართველობა, ვითარცა საზოგადოება, ვითარცა ეროვნული ერთეული, მოვისპეთ, გავითქვიფენით უცხოთა შორის.

გულ-მოკლულნი შურით შევყურებდით ერთობას ებრაელებისას, პოლონელებისას, ბერძნებისას. თათარ-სომხებზე კი აღარაფერს მოგახსენებთ, რადგან თვით ქალაქი ამათია.

იმ დროს, როდესაც ჩვენ სალათას ძილს მივეცით თავი, სხვა ერებმა ითხოვეს ქალაქის გამგეობისგან ალაგები, მიიღეს და ზედ ააშენეს თავიანთთვის სკოლა, ეკლესია და მოაწყეს თავიანთი საკულტურო დაწესებულებანი.

[illegible] ფიქრი განახლებაზედ, აღდგენაზედ, უნდა კვლავ ხმა შაგვეწყო ერთმანეთისთვის და რამე საზოგადო საქმე მოგვეხერხებინა. ასეთ საერთო საქმედ აღმოჩნდა დაარსება ბაქოში ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ფილიალურის განყოფილებისა. ამ საქმის მოწყობას ახალი მოღვაწე და მშრომელი პირები უნდოდა, რადგან ძველ მოღვაწეთ გული გაუტყდათ, იმედი გაუცრუვდათ და სასოწარკვეთილებით გაიძახდნენ: „ქართველებში არაფრის გაკეთება არ შეიძლება. არ დავზოგეთ არც ჯანი, არც ჯიბე, არც ცოდნა, მაგრამ არა გამოვიდარაო“. ესენი ჩამოდგნენ და ბურთი და მოედანი სხვას დაულოცეს.

ასეთი გადამდგარი და „ოტსტავკაში“ გამოსული მოღვაწეები არიან პატივცემულნი თ. ი. დადიანი, ექიმი ი ელიაშვილი, მსაჯულად ნამყოფი ლ. მამულაიშვილი და ზოგნიც სხვანი. სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ბ. დადიანი მოერიდა აქტიურ მოქმედებას, ხოლო დახმარებასა და სამსახურის გაწევას არც ამ ჟამად გაურბის. რაც შეეხება მის მეპანეებს, მათ კი მთლად ზურგი უჩვენეს ქართულ საქმეებს და ძირიან-ფესვიანად ჩაიყურყუმელავეს იმ მორევში, რომელსაც ჰფარგლავს პირადი ინტერესები. ეს დიდი დანაკლისია ჩვენის მცირე-რიცხოვან ინტელიგენციისთვის, რადგან ორივენი, ელიაშვილი და მამულაიშვილი, ფრიად ნიჭიერი კაცები არიან.

ძველს ნანგრევებზე აღმოცენდა დღეს ახალი საზოგადოება ახალის ხალისით და იმედებით. მეთაურად და მესვეურად ამ ახალ საზოგადოებისა ითვლება პატივცემული მ. ი. თაქთაქიშვილი. შესანიშნავი ტიპია საზოგადო მოღვაწისა! ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი სულის აღმოთქმა გამცნევთ თქვენ, რომ თქვენ წინაშე სდგას კაცი, რომლის ყოველი სიტყვა ამოდის უკიდურესის სიწრფელობით იმ გულის სიღრმიდან, სადაც დაუბუდნია დიადს მცნებას: ყოველივე სამშობლოსთვის! მისს მასლაათს, ხშირად მარტივს და შაბლონურს, ის გავლენა აქვს მასსაზე და ამხანაგებზე, რომ უკუდგომა და გულ-ცივად მოპყრობა საზოგადო საქმისადმი შეუძლებელი ხდება. ამისთანა სპეტაკ და უნაკლო, ნიჭიერ და წარმტაც მოღვაწეებს დაინატრებენ თვით საქართველოს დედა-ქალაქები.

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო: რას გააწყობდა მარტო თაქთაქიშვილი, რომ მას მხარში არ უსხდნენ ღირსეული ამხანაგები. ასეთები არიან დღეს: სვიმონ კვიტაშვილი, კაცი რომელიც ერთგული დარჩა იმ თავით ამ თავამდე ყოველ ქართულ საქმისა, რომლის დინჯს, დაფიქრებულს და ცხრაჯერ აწონილ სიტყვას მრავალჯერ მოუპოვებია სამართლიანი ალტაცება [illegible] 2. სიტყვა-მრავალი და ფიცხი პლ. გელოვანი, 3. ენა-მახვილი ბ. ქებაძე, 4. ჩუმი, წყნარი, მაგრამ ერთგული ბ. ნაცვლიშვილი, 5. „ახალ-გაზრდა მოხუცი“ ბ. კალანდარაშვილი, 6. „ძველი ლიბერალი“ ბ. ახვლედიანი, 7. დარბაისელი და მუყაითი ბ. ბუჩუა 8. ერთგული თეატრალი ბ. თედეშვილი, და კიდევ ორიოდე სხვა.

აი, ეს კრებული პატივცემულ პირთა არის დღეს ცენტრი ბაქოს ქართველობის ეროვნულ ელფერის გამომხატველი, მისი ჭირის-უფალი, მისთვის გულის შემატკივარი.

ახალმა გამგეობამ თავისი მოღვაწეობა დაიწყო ქართულის სკოლის დაარსებით. დღეს იგი სკოლა წარმატებისა და პროგრესსის გზაზე დგას და პედაგოგიურის მხრივ საუკეთესოდ არის მოწყობილი.

დიდი ნაკლი სკოლისა არის ვიწროობა შენობისა და უეზოობა. ამ მხრივ მაზუთისა და ნავთის ქალაქი სწორედ უბედური სანახავია. არც ერთს სახლს აქ ეზო არა აქვს. არა თუ ჩვენი სკოლა, ყველა სკოლები, რომელნიც-კი არსდებიან ბაქოში, უმთავრეს საზრუნველ საგნად ჰხდიან საკუთარის ადგილისა და შენობის შეძენას.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ახალი გამგეობა სკოლის დაარსებისათანავე შეუდგა ზრუნვას საკუთარის ადგილისა და შენობის შეძენისას. ამისათვის მან შეადგინა „ამშენებელი კომისსია“, რომლის წევრებადაც ითვლებიან როგორც გამგეობის წევრნი, ისე ბაქოს საპატიო ქართველნი. მათ შორის არიან: ბბ. დადიანი, ჯაყელი, რაჯიბ-ბეკ ნიჟარაძე, ბადიეშვილი და სხვანი.

პირველი ნაბიჯი ამ კომისსიისა გამოიხატა იმაში, რომ აღძრა შუამდგომლობა ქალაქის საბჭოს წინაშე, რათა ქალაქმა დაუთმოს ბაქოს ქართველობას საკულტურო დაწესებულებათა მოსათავსებლად თავისუფალი საქალაქო მამული, როგორადაცა აქვთ უკვე დათმობილი ქალაქის მიერ სხვა ერებს. თხოვნასთან კომისიამ აღნიშნა ის ნაჭრები საქალაქო მამულებისა, რომლებიც უფრო ჩვენთვის ხელსაყრელი იყო.

ქალაქის საბჭომ ნათხოვნ ნაჭრებზე უარი გვითხრა, რადგან იგინი ქალაქის ცენტრში არიან, ძვირად ღირან და ქალაქს თითონ უნდა თავის საჭიროებისთვისაო.

ნაცვლად გვიწყალობა სხვა ნაჭერი, მდებარე ცენტრისაგან შორს, განაპირას. დიდის თათბირისა და კამათის შემდეგ ჩვენ დავდექით იმ აზრზე, რომ ნაბოძები ადგილი ჩვენთვის გამოუსადეგარია თავის სიშორისა გამო. ეს ჩვენი დადგენილება ვაუწყეთ ქალაქის გამგეობას და თან დავძინეთ, რომ მოცემულ ნაჭრებზე, მილლიონის ქუჩაზე, უარს ვაცხადებთ.

ბაქოს ქართველობა ძალიან გულნატკენია, რომ ქალაქის საბჭომ ასე გულგრილად მიიღო ჩვენი თხოვნა — [illegible] ჩვენთვის მცირედი ადგილი. ქალაქის გამგენი ბბ. რაევსკი და კულიკოვსკი თავს რომ არ შაიტკივებდნენ ქართველებისთვის, ეს ჩვენ წინადვე ვიცოდით: მაგრამ თუ თათრებიც, რომელთაც საბჭოში გადამწყვეტი ხმა აქვთ ასე აბუჩად აგვიგდებდნენ,—ამას კი აღარ მოველოდით. თათრებსა და სომხებს უნდა გაჰხსენებოდათ, რა პატივითა და მასპინძლობით ეპყრობიან მათ ქართველები თავიანთ არე-მარეში და თავიანთ დედა-ქალაში.

მახსოვს ერთი სადილი, გამართული აქ, ბაქოში, თათარ-ქართველ ინ-

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

წიგნი, რომლის შესახებაც გვინდა ჩამოვაგდოთ ლაპარაკი, მხატვრული ნაწარმოები არ არის, იგი სიტყვა-კაზმულ მწერლობას არ ეკუთვნის. წიგნი თეორიული ხასიათისაა, იგი მეცნიერული გამოკვლევაა სოციოლოგიური პრობლემისა და მეცნიერული განმარტება-შესწავლაა ეროვნული საკითხისა. და მიუხედავად ამ მეცნიერულის ხასიათისა, წიგნი დიდის ინტერესით იკითხება—იგი უღვიძებს მკითხველს აზრს და გონებას, რადგან ეხება სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხს, ჩვენი ყოფნა არ ყოფნის საგანს. ეს წიგნია **Bâton**-ის „ერი და კაცობრიობა“, განხილული სოციოლოგიურის მხრით.

წიგნში ბევრი რამ არის საყურადღებო. ბევრი რამ ითქმის ავტორის წინასიტყვაობის შესახებ, რომელიც ქართველ ინტელიგენტის გულწრფელ აღსარებას წარმოადგენს და რომელიც საგულისხმო დოკუმენტია ჩვენი ინტელიგენციის სულის-კვეთების დახასიათებისათვის. მაგრამ ამ წინასიტყვაობას ჩვენ არ შევეხებით, და ნაწარმოების სავსებით გარჩევასაც ამ ჟამად არ ვკისრულობთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ წიგნს თავიდან ბოლომდე ერთნაირი ღირსება არა აქვს, როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს წინასიტყვაობაში, მასში ბევრია განმეორებანი. განმეორება აზრის სიცხოველეს ანელებს. გარდა ამისა, წიგნის მეორე ნაწილი—იურიდიული პრობლემა ისე ზედ-მიწევნით და დამოუკიდებლად არ არის განხილული, როგორც ნაწარმოების წმინდა სოციოლოგიური ნაწილი, თუმცა იურიდიულ პრობლემის დაყენება ეროვნულ პრინციპის მიხედვით ორიგინალურ აზრად უნდა ჩაითვალოს. წიგნის სოციოლოგიური ნაწილი და მასთან დაკავშირებული ეროვნულ პრობლემის განმარტება კი სწორედ რომ საყურადღებოა და საინტერესო. იგი პირველი ცდაა ქართულს ლიტერატურაში ეროვნულ საკითხის მეცნიერულის თვალსაზრისით განხილვისა. იგი დასაწყისია დალაგებული აწონ-დაწონილი ემპირიულ შესწავლისა იმ კონკრეტულ სინამდვილისა, რომელშიაც ვცხოვრობთ და რომლის გამო ასეთ უილაჯო ცრემლებსა ვღვრით ხოლმე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ გვესმის და გაუგებარია ჩვენთვის. „ერი და კაცობრიობა“ ამ საქმეს გაგვიადვილებს და ხელს შეუწყობს არა მარტო ჩვენს გათვით-ცნობიერებას, არამედ ჩვენი მოქმედების ნამდვილ გზაზე დაყენებას.

ჩვენ გვაინტერესებს ამ ნაწარმოების დედა-აზრი და ყოველივე პრაქტიკული დასკვნანი, რომელნიც გამომდინარეობენ ამ დედა-აზრიდან. ამ მხრივ „ერი და კაცობრიობა“, მიუხედავად მისი თეორიული ხასიათისა, პირდაპირ პრაქტიკულ პოლიტიკის საფუძველი და წყაროა.

თავი და თავი მნიშვნელობა აქვს მთავარ დებულების განმარტებას, სახელდობრ იმას, რომ საზოგადოება და მისი **კონკრეტული** ფორმა ეროვნება—ორგანიზმია. თუ ეროვნების ორგანიზმობა თქვენთვის უტყუარი ჭეშმარიტებაა, იძულებულნი ხართ აღიაროთ ყოველივე ის, რაც დაკავშირებულია ამ ცოცხალ ორგანიზმის ზრდა-განვითარებასთან. წიგნის პრაქტიკული ფილოსოფია სწორედ ამ თეორიულ საფუძველზეა დამყარებული. ამიტომ უნდა იყოს ეს საფუძველი ნათელ-ფენილი.

დასაწყისში ის უნდა იყოს აღნიშნული, რომ სოციოლოგიას თავისი განსაკუთრებული მოვლენა აქვს შესასწავლად. ეს მოვლენაა საზოგადოება. საზოგადოება განსაკუთრებული ორგანიზმი, ანუ სუპერ-ორგანიზმია. საზოგადოებრივ სუპერ-ორგანიზმს აქვს თავისი განსაკუთრებული სოციალური ორგანონი და ფუნქციანი. საზოგადოებრივი სუპერ-ორგანიზმი და ბიოლოგიური ორგანიზმი ერთი და იგივე არ არის. მათ შორის ღრმა განსხვავებაა. ორგანიზმი შესდგება ცოცხალ უჯრედთაგან, რომელთაც არა აქვთ არც რთული ორგანიზმის ნება, შეგნება, ლოღიკა, მისწრაფება და სხვა. საზოგადოება კი შესდგება სრულ, განვითარებულ ადამიანთა ორგანიზმთაგან, რომელთაც აქვთ ზემოხსენებული თვისებანი. ძირითადი მოვლენა საზოგადოებრიობისა არის გარეგანი მოწესრიგება საერთო ცხოვრებისა, ან კონტრაქტი, მაშინ როდესაც უჯრედთა შორის ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ხასიათი სუპერ-ორგანიზმისა, იგი მაინც ორგანიზმია მიუხედავად მისი უმაღლესი ხარისხისა და თავისებურობისა (გვ. 50—51).

მაშ საზოგადოების განსაზღვრა შეიძლება იყოს ამგვარი. საზოგადოება არის ორგანიზმი, ანუ სუპერ-ორგანიზმი, შემდგარი მიზანდასახვის ნიჭის მქონე ადამიანთაგან, რომელთა გარეგნულად მოწესრიგებული საერთო მოქმედება აკმაყოფილებს ამ ორგანიზმის ყველა მოთხოვნილებათ იმ სპეციალურ ორგანოთა საშუალებით, რომელნიც აქვს ყოველ სუპერ-ორგანიზმს განსაზღვრულ ფუნქციათა აღსასრულებლად (გვ. 53).

მაშ თუ საზოგადოება რთული სუპერ-ორგანიზმია, კაცობრიობა და ერი რაღას წარმოადგენენ? კაცობრიობას არა აქვს საერთო სოციალური ორგანოები და ფუნქციები არც ერთი მიზნის მისაღწევად სწორედ იმიტომ, რომ მას არა აქვს არავითარი საერთო მიზანი, არავითარი მიზან-შეწონილი საერთო მოქმედება და ამიტომაც ერთ სოციალურ სუპერ-ორგანიზმსაც ვერ წარმოადგენს იგი (გვ. 64). მთელი კაცობრიობა, ეს სოციალური ფიქცია, არ წარმოადგენდა არასოდეს ერთ მთელ რამეს, რომელსაც შესძლებოდა ორგანიული სოციალური განვითარება პირდაპირი ხაზით, რომ დასაბამიდან დღევანდლამდე შესაძლებელი იყოს მისი განვითარების თანდათანობითი ისტორიის წარმოდგენა და მოთხრობა, როგორც ერთი ორგანიზმისა, რომელმაც განსაზღვრულ დროს დაიწყო ზრდა, განვითარება, დიფფერენციაცია ორგანოთა და ფუნქციათა გართულება, და ბოლოს მოაღწია დღევანდელ განსაზღვრულ წერტილს. მართლაც, კაცობრიობა დღეს ასეთ სურათს არ წარმოადგენს. მისი ნაწილები განვითარების სულ სხვა-და-სხვა საფეხურზედა სდგანან ყველა მხრით — როგორც რასიულისა, ისე სოციალურის მხრით. ცხადია, მაშასადამე, რომ ორგანიულად განვითარებულან მხოლოდ მისი განსაზღვრული ნაწილები (გვ. 65). რა ნაწილებია ეს ნაწილები? ერია კაცობრიობის შემადგენელი ნაწილი. ერი—კონკრეტული საზოგადოებაა. აბსტრაქტული პრინციპი საზოგადოებრივობისა ხორციელდება თვითეულ ერში. ერი არის ერთი განსაზღვრული, კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, სრული გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება განსაზღვრულ ტომის ადამიანთა, განსხვავებული სხვა ასეთივე კონკრეტულ საზოგადოებრივ ორგანიზმისაგან, თავისი განსაკუთრებული თვისებით, ორგანოებითა, მოწეს-რიგების სახითა და ერთობ მთელი თავისი ხასიათითა (გვ. 81). აქ საგულისხმოა ერის და საზოგადოების ცნებათა განსაზღვრა. ცნება ერისა და საზოგადოებისა არ არის ერთი და იგივე. საზოგადოება აბსტრაქტული ცნებაა განსაზღვრული ბუნების მოვლენისა, ერი კი განსაზღვრული კონკრეტული მაგალითია ამ მოვლენის არსებობისა ბუნების წიაღთა შორის (გვ. 91). მაშ ერი არის ჭურჭელი საზოგადოებრივობისა. იგი განსაზღვრული კონკრეტული საზოგადოებაა. საზოგადოებას კი, როგორც ამგვარს, შეუძლია მიიღოს მრავალი ფორმა, კერძოდ სახელმწიფოს ფორმა. სახელმწიფო კი ერთი ფორმაა საზოგადოებრივობისა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრულ კონკრეტულ საზოგადოებას—ერს (გვ. 94).

ამგვარად, ერს სოციალური შინაარსი ჰქონია. რა ხასიათისაა ეს შინაარსი? იგი შესდგება სოციალურ მოვლენათა კრებულიდან. სოციალურ მოვლენათა შორის არიან მარტივი და საზოგადო მოვლენანი, აგრეთვე რთული და სპეციალური მოვლენანი. ესენი არიან ეკონომიური მოვლენანი, გენეზიური, არტისტიული, სარწმუნოებრივ-მეცნიერული, მორალური, იურიდიული და პოლიტიკური. რეგულარიზაცია ან მოწეს-რიგება ყველა ამ მოვლენათა განსაზღვრულ ორგანოთა საშუალებით სოციალურ ორგანიზმის ზრდა განვითარებას მოასწავებს. კერძოდ რეგულარიზაცია ან მოწეს-რიგება ადამიანთა მიერ სასაზრდოო

ტელიგენციის მიერ. ღმერთო ჩემო, რა ქარბუქი დააყენეს „რეჩჰისა"! რა სოლიდარობას და ურთიერთ-შორის სიყვარულს არ ქადაგებდნენ!

და როცა-კი საქმე საქმეზე მიდგა, როცა თათრის ინტელიგენციას საშუალება მიეცა სულ უბრალო რითიმე ქართველობის გული მოეგო,— მაშინ აღარავის გაახსენდა არც წარსული, არც აწმყო, არც მომავალი, მეზობლობა, არც სოლიდარობა!

ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო.

შემდეგ ალვძარით კითხვა: მეორედ ვითხოვოთ საბჭოსაგან ადგილიო. ამ საკითხმა ორ ბანაკად გაჰყო გამგეობისა და კომისსიის წევრნი. ერთნი ამბობდნენ: სირცხვილად და დამცირებად ისიც ვიკმაროთ, რაც მივიღეთო. მეორენი ამტკიცებდნენ, რომ საკითხის გადაწყვეტას საბჭოში შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, რომ საბჭოს წევრნი-თათრები არ იყვნენ ჩახედულნი და მომზადებულნი წინასწარის აგიტაციით, რომ, უკეთუ იმათ ეცოდინებოდათ რა დიდ მნიშვნელობას მისცემდა ბაქოს ქართველობა ამა თუ იმ ნაჭერ მამულის დათმობას და არ დათმობას, სულ სხვა რიგად მოეკიდებოდნენ საქმესაო, ან რა მოსაფიქრია საბოლოოდ, რომ საბჭომ ქართველობას უარი უთხრას მამულზე როდესაც იმავე საბჭომ გულუხვად გასცა მამულები ბერძნებზედ, ებრაელებზე პოლონელებზე და სხვებზედაო.

მეორე აზრმა გაიმარჯვა და დავადგინეთ, ალაგის დათმობაზე ქალაქის საბჭოს კვლავ თხოვნით მივმართოთ.

ვრცელი თხოვნა ამ საგნის შესახებ უკვე დაწერილი გვაქვს და დღე-დღეზე შევიტანთ ქალაქის გამგეობაში საბჭოს მისახსენებლად.

ეს იქნება მეორე ცდა. ეს იქნება მეორე გამოცდა თათრების ინტელიგენციისა შესახებ იმისა, თუ რა თვალით უცქერის იგი ქართველობას. დამეთანხმეთ, რომ აქ ახლა უბრალო მამულის ნაჭერსა და ნაგლეჯზედ კი აღარ არის ლაპარაკი, არამედ საკითხი გადადის იმ სფეროში, რომელსაც ჰქვიან თათარ-ქართველთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება აწმყოში და მომავალში. საბჭოს ზოგიერთ წევრებს გაველაპარაკეთ კერძოდ ამ საგანზე და მივუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ ახალი უარი საბჭოს მიერ ქართველების თხოვნაზე, სავსებით გააშიშვლებს მათს „პოლიტიკას" და საჯაროდ გამოიტანს მათს გულის ნადებს.

იგინი დაგვეთანხმნენ და აღგვითქვეს, რომ ახალის თხოვნის შეუწყნარებლობა დიდი უსამართლობა იქნება ქართველების წინაშე და ამას ბაქოს საბჭო არ ჩაიდენსო.

ვნახოთ რა გამოვა რისაგანა.

მიხეილ ნახიძე.

მოწერილი ამბები

საბურთალო. ბევრს ჩვენთაგანს ახსოვს, რომ საბურთალოზე არავინა სცხოვრობდა და დღევანდლამდე თითქმის ცარიელი მინდორი იყო.

ეს რამოდენიმე ხანია, რაც ქალაქმა იქით გაიწია, ეს გარემოება არც თუ სოფლელებს დარჩათ შეუმჩნევლად და ახლო მახლო სოფლებიდგან ჩამოსახლება და ადგილების დაჭერა იწყეს. ახლა აქ უკვე 150 კომლი სახლობს. აქედგან 94 კომლი ქართველია, 36 კომლი მალაკანი და 20 კომლი რუსი. დიდი ხანი არ არის ისიც, რომ ტფილისის მოქალაქემ გიორგი სოლომონის ძემ აბულაძემ ეკკლესიისათვის შესწირა 400 საჟ. მიწა, თავისივე ხარჯით შეუდგა ეკკლესიის აშენებასაც და მოსახლეობამაც აღუთქვა დახმარება, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო, ეკკლესია მთლად ვერ დაამთავრა და იძულებული გახდა მიემართნა საქართველოს ეგზარხოსისთვის, რომ მას შუამდგომლობა აღეძრა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე: აღმოეჩინა დახმარება იმ საგანგებო თანხიდან, რომელიც იმყოფება მის განკარგულებაში. ნამესტნიკმა შეიწყნარა ეს შუამდგომლობა და 1500 მან. დახმარება აღმოუჩინა, რის გამოც წინადადება მიეცა დეკანოზ მ. ნ. მაჭარაშვილს, რომ მისივე თავმჯდომარეობით და აბულაძის წევრობით, შეადგინოს სამშენებლო კომიტეტი და ეს ფული დანიშნულებისამებრ მოიხმარონ. კვირას, 10 ოქტომბერს, მოხდა კრება საბურთალოს მომავალ მრევლისა (ამ სამრევლოში შედის სხვათაშორის ახლო-მახლო პატარა სოფლები: ვეძისი თხინვალა და დისი) და სამშენებლო კომიტეტი აირჩიეს.

ამ კრებაზე სხვათაშორის მსჯელობა ჰქონდათ სკოლის შესახებაც.

საბურთალოზე არსებობს ორი საეკკლესიო სკოლა სამ-სამი განყოფილებით. ამ სკოლებში ორი მასწავლებელი ქალი ასწავლის, (ორთავე რუსები არიან) მოწაფეთა რიცხვი უდრის 76-ს, მიუხედავად ამისა, რომ მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველები არიან, ამ სკოლებში მხოლოდ 12 ქართველი მოწაფე სწავლობს.

ამ სასწავლებლებს უფრო წინად დიდი ძალი ქართველი ბავშვები აწყდება, მაგრამ მასწავლებლები არ იღებენ მხოლოდ იმისათვის, რომ „სუდ ერთია, ერთმანეთისას ვერას გაიგებთო" (საკვირველია, თითქოს საბურთალო შიდა-რუსეთში იყოს და ქართველი მასწავლებელი არ მოიძებნებოდეს). რის გამოც ზოგი ბავშვი იძულებულია ტფილისში ვერის წმ. ნიკოლოზის საეკკლესიო სკოლაში იაროს და ზოგიც უსწავლელი დარჩეს. ამ სამწუხარო მოვლენის თავიდან ასაცილებლად, მრევლმა სთხოვა დეკ. ნ. მაჭარაშვილს აღძრას შუამდგომლობა სამასწავლო საბჭოს წინაშე, რომ ერთ-ერთი მასწავლებელი მაინც ქართველი დანიშნონ.

დააკმაყოფილებს საბჭო საბურთალოელების სამართლიან თხოვნას თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს.

X.

ქუთაისი. 10 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების მორიგი კრება. ეს კრება, როგორც მეორეჯერ დანიშნული, კანონიერად ჩაითვალა, თუმცა მას მხოლოდ 9 წევრი დაესწრო. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მეტად სიმპატიურ დაწესებულებასაც საზოგადოება მეტად გულ-გრილად ეპყრობა. აღსანიშნავია ის სამწუხარო მოვლენაც, რომ გამგეობის წევრთაგანაც მხოლოდ 3—4 კაცი თუ მუშაობს; დანარჩენები კი სულ ტყუილად ითვლებიან წევრებად: მათ თავისი საწევრო ფულიც კი არ გადაუხდიათ და კრებასაც კი არ დასწრებიან.

როგორც გამგეობის მიერ წარმოდგენილ ორი წლის (1908—1909 წ.წ.) ანგარიშიდგან სჩანს, საზოგადოებას ამჟამად 62 წევრი ჰყავს, რომელთაც საანგარიშო დროს განმავლობაში შემოუტანიათ საწევრო ფული 165 მან. გამგეობას 1908 და 1909 წლის 12 იანვარს გაუმართავს საზოგადოების სასარგებლოდ ორი სადამო, რომლებსაც მოუცია საზოგადოებისათვის წმინდა შემოსავალი 742 მან. 29 კაპ. საანგარიშო წლების განმავლობაში საზოგადოებას დახმარება აღმოუჩენია 63 ღარიბ სტუდენტისათვის, რომელთათვისაც მიუცია სესხად 950 მან.

დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები, მდივანი და ხაზინადარი.

გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ დ. თ. ნიჟარაძე, ს. ი. ხუხუნოვი, ბ. ვ. მოსეშვილი (ძველები), ვ. ნ. ხუხუნოვისა, მ. თ. ვარდოსანიძის ასული, ს. ვ. ტერტერიანი და ბ. ვ. ღუღუა (ახლები).

სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ი. ი. ბურაკაშვილი, ვ. ი. ნიჟარაძის ასული და ი. ს. ჩიქოვანი; მდივნად—ნ. დ. ჩიქოვანი და ხაზინადრად—ნ. ა. ფურცელაძე.

ამგვარად, 9 კაცისაგან შემდგარმა საზოგადო კრებამ აირჩია 12 კაცი!

ისარა.

თეატრი და ხელოვნება

„სამშობლოს" წარმოდგენა. სამშაბათს, 12 ოქტომბერს, თავ. დავით ერისთავის გარდაცვალებიდან 20 წ. შესრულებისა გამო ქართულს თეატრში წარმოდგენილ იქმნა „სამშობლო". ეს მესამედაა ამ მოკლე ხანში ამ პიესას სდგამენ და, რასაკვირველია, თეატრი ნახევრად ცალიერი იყო. მართალია, ევროპის თეატრები ხშირად მთელ სეზონის განმავლობაში ყოველღამ სდგამენ ერთსა და იმავე პიესას და ყოველთვის ხალხი ბლომად ესწრება, მაგრამ ჩვენი საზოგადოება სულ სხვა გარემოებაშია. ეს არ უნდა დაჰვიწყებოდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას. საკვირველია, ღმერთმანი, ნუ თუ დავით ერისთავს „სამშობლოს" გარდა სხვა არაფერი მოეპოვება გადმოკეთებული ან ნათარგმნი? მაშ რისთვის გამოსცეს მის თხზულებათა საკმაოდ დიდი კრებული? ცნობილ მწერლის ახალი უმნიშვნელო რამეც საინტერესო იქნებოდა საზოგადოებისთვის.

სამართლიანობა მოითხოვს აღვიაროთ, რომ თვით წარმოდგენამ გაცილებით უფრო კარგად ჩაიარა, ვიდრე სეზონის დასაწყისში. განსაკუთრებით მშვენიერი იყო ვლ. ალექსი-მესხიშვილი ლევან ხიმშიაშვილის როლში. გოგია დიაკვნის პატარა როლი ჩინებულად შეასრულა კოტე მესხმა. სხვანი იგივენი იყვნენ რაც პირველ წარმოდგენის დროს. ვ. გამყრელიძემ ამ ჟამად მეტად გაიმარჯვა სვიმონ ლეონიძის როლში.

წარმოდგენის დასაწყისში დრამ. საზ. გამგეობის წევრმა ნ. ლორთქიფანიძემ ორიოდე სიტყვით მოიხსენია დავით ერისთავი. ეს არ აღმოჩნდა „რეფერატი დავ. ერისთავის ცხოვრება მოღვაწეობის შესახებ," როგორც გამგეობა შეცდომით აცხადებდა **მ.**

ქუთაისი. მართალია, ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა"—რომელიც დასმა შაბათს ითამაშა, მოსწონს ქუთაისის საზოგადოებას და ახალგაზრდობა ხომ თვით სიმბოლოს ამ პიესისას: „სწრაფია ვით ტალღა"-ს ზეპირად ღიღინებს, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენის აზრით დასმა მაინც ძალიან ნაადრევად წაატანა ამ პიესას ხელი. ახალგაზრდა ძალები დასაწყისშივე უნდა სცდილობდნენ დაიმსახურონ ფართო საზოგადოების ყურადღება, დასაწყისშივე უნდა გამოიჩინოს თავისი დამოუკიდებლობა-ინდივიდუალობა ახალის შექმნაში, უნარი შემოქმედებისა და წინსვლისა. ამ მხრივ სწორედ არაფერს იძლევა ეს პიესა. უმთავრესი როლების აღმასრულებელნი უკვე ყველა კარგად ნაცნობნი არიან და თავის თავად ცხადია ახალს ველარაფერს გვაწვდიან. სეზონის განმავლობაში ამგვარი პიესის თამაში ერთხელ ან ორჯერაც მუდამ შეიძლება და ხალხსაც მიიზიდავს ყოველთვის, ამ ცვლილებით საქმე არ გაფუჭდება.

ეს წარმოდგენა ჩვენთვის უფრო იმ მხრივ იყო საინტერესო, რომ ამ საღამოს პირველად ნახავდა ქ-ნ თამარაშვილს საზოგადოება ევდოკია ანტონოვნას როლში.

ეს როლი არც ისე ადვილია, როგორც ერთის შეხედვით ჰგონია ადამიანს, ევდოკია ანტონოვნა გახრწნილებისა და ზნე-დაცემულების ხორც შესხმული განხორციელებაა, იგი უსულგულო, გრძნობა მიხლუნგებული ქმნილებაა, რომელიც თავის პირმშო ასულსაც კი არ იბრალებს და თვითონ მიჰყავს მოედანზედ სხეულის გასასყიდად, რომ ამით მოიპოოს სადსარი ცხოვრებისა და განაგრძოს ყალბფუფუნებაზედ აგებული არსებობა. ამ სიმახინჯის განსახორციელებლად სიტყვიერ ძლიერებას იმდენი ადგილი არ ეკუთვნის რამოდენი მოვალეობაც აწევს გარეგნულ თამაშს, მოქმედებას, მიმიკას, ირონიას, შანსონეტურ კუპლეტების ღიღინს და სხ. უნდა აღვნიშნოთ რომ ქ-ნ თამარაშვილს ყველა ეს მოვლენანი ფხიზლად ჰქონდა გათვალისწინებული და საერთოდ როლს საკმაოდ შეასრულა, რამაც საზოგადოებაზე კმაყოფილების შთაბეჭდილება მიახდინა. მაგრამ ამ საერთო კმაყოფილებასთან უნდა აღვნიშნო ერთი ფრიად საყურადღებო ნაკლი მოთამაშისა. მეტად არ ემარჯვება ქართული კილო, ქართული გამოთქმა. მთელი საღამო ვერ მოვიშორე ის აზრი, რომელიც ქ-ნ თამარაშვილს უცხო ტომის ადამიანად მიდგენდა თვალწინ, რომელსაც თუმცა ქართული სიტყვები გაეზეპირებინა, მაგრამ უცხო ჰანგზე, უცხო გემოვნებაზე განმარტავდა.

ჩვენი სცენის მემატიანეთ ამგვარი ნაკლი მრავალ მოთამაშეებში აღმოუჩენიათ და ამიტომ ქ-ნი თამარაშვილი პირველი და უკანასკნელი არ არის. ეს შედეგია იმისი რომ მუდამ დამახინჯებულ ქართულად მელაპარაკეთ, უცხო ენაში უფრო „გაშაფულთ", აღარ გვემარჯვება ქართული კილოანი ბაასი და ისეთი ახალგაზრდა მოთამაშენი როგორც ქ-ნი თამარაშვილია, ქართულ როლსაც რუსულის „პაფოსით" სწავლობენ...

რა მიზეზიც უნდა იყოს ჩვენ ვურჩევთ ახალგაზრდა მოთამაშეს ამ ნაკლის დაძლევას ახლავ შეუდგეს, თორემ მუდამ ევდოკია ანტონოვნას როლს ხომ არ ითამაშებს, სადაც ეს ნაკლი უფრო სუსტად მოსჩანს, რა უნდა იყოს მოთამაშე იმგვარ ტიპების განხორციელებაში რომელთაც ჩვენებურს — ქართულ ცხოვრებას გვიხატავს?...

დანარჩენ მოთამაშეთაგან აღარავის აღვნიშნავთ, რადგანაც იგი განმეორება იქმნებოდა უკვე თქმულისა.

კარგი იყო ბ-ნი ქარელი შეზარხოშებულ ოფიცრის როლში, გაცილებით უკეთესი-კი იქნებოდა რომ „სიმთვრალე და ენის ბორძიკი" ნაკლები გამოეჩინა.

თეატრი ხალხით გაჭედილი იყო.

ამ საღამოს დაურიგეს უფასო ლიბრეტო „ტაიფუნზე". ამგვარი ლიბრეტო აზრადა აქვთ ყოველ ახალ-ახალ პიესას წარუმძღვარონ. ჩვენ მხოლოდ ვერ ავხსენით, რას უნდა მიეწეროს ის, რომ პაწია ქართულ წინასიტყვაობასთან ახლავს პიესის შინაარსის განმარტება რუსულად!... ნუ თუ ამ საშუალებით დირ. გამ. სურს რამოდენიმე რუსი „მიიზიდოს" თეატრში?.. მეტად ყალბი და საეჭვო საშუალებაა ხელოვნების ასაღორძინებლად.. ჩვენ ერთი და ორი უცხოელის დასწრება კი არ გვაინტერესებს, რომელსაც მოწყალების სული უდის, ჩვენ გვსურს და ყველამაც ამას უნდა ნატრობდეს, რომ ქართული თეატრი ქართველ ხალხის სულიერ მოთხოვნილებად გადიქცეს, და თუ საქმე „რეკლამებზედ" მიდგა, ლიბრეტოც ქართულ ენაზედ უნდა იბეჭდებოდეს...

მეორე საღამოს, კვირას, გაიმეორეს „ტაიფუნი". როგორც პირველად პიესა ეხლაც კარგად ითამაშეს. მესამე მოქმედება სრულიად შეეცვალათ როგორც დეკორაციის მხრით, აგრეთვე როლების ახლად განაწილებით და ამით პიესამ სულ სხვა შთაბეჭდილება დასტოვა—ვიდრე პირველ წარმოდგენაზე.

ხუთშაბათს, 14 ოქტომბერს, ბ-ნი ფოცხვერაშვილი და წუწუნავა მართავენ საღამოს, წარმოდგენილი იქნება „პირიმზე" „აშენდა საქართველო" და იქნება საკონცერტო განყოფილებაც...

კვირას 10 ოქტომბერს ქართულმა სექციამ მორიგი სახალხო კითხვები გამართა. ამ დღეს გამოვიდა ორი ლექტორი ბბ-ნი გ. ნათაძე, რომელმაც წაიკითხა მსოფლიო ისტორიიდამ და ა. გარსევანიშვილმა

საშუალებათა პოვნისა, კვებისა და სხვა მსგავს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შეერთებულ ადამიანთა ძალითა—არის ეკონომიურ-სოციალური მოვლენა (გვ. 16). რაც შეეხება გენეზიურ მოვლენას, ყოველ საზოგადოების გენეზიურ მოვლენას სოციალურის მხრით ახასიათებს მოწესრიგება ცოლ-ქმრობისა, მშობელთა და შთამომავლობის ურთი-ერთ შორის განწყობილებათა. (გვ. 17). ხელოვნება კი, რომელიც ეხება ადამიანის ესთეტიკას, გემოვნებასა, ვნებათა—მოწესრიგებაა შეერთებულ ადამიანთა ერთეულისა, გემოვნებისა, ვნებისა და სხ. უმაღლეს სულიერ მისწრაფებათა გამოჩენისა. (20). სარწმუნოება და მეცნიერებაც სოციალურნი მოვლენანი არიან, მოწესრიგებანი ადამიანის ცოდნისა, რწმენათა, და მსოფლიო შეხედულობათა; აგრეთვე მათი გამოჩენა, გარდაცემა და გავრცელება ხდება მოწესრიგებული გზით, შესაფერ დაწესებულებათა საშუალებით, რომელნიც შესაფერ ფუნქტიებს ასრულებენ ყოველ საზოგადოებაში. (24). ზნეობა არის მოწესრიგება ადამიანთა ყოფა-ქცევისა. მისი მოძრაობა — მუდმივი ძებნაა ახალი ღირებულებათა, რომელთა დამკვიდრებაც მორალურ ნორმებათ წარმოუდგენელია გარეშე ადამიანთა საერთო მოწესრიგებულ ცხოვრებისა. (25). არ არსებობს არც ერთი სოციალური კავშირი ადამიანთა, სადაც არ იყოს ამავე დროს სამართალი—ან როგორც ნამდვილი, იურიდიულ ძალ-დატანებითი ნორმები, ან როგორც წმინდა ძალ-მომრეობა, ან როგორც კონვენციონალური—პირობითი ნორმები, ან და ყველა ამ ელემენტთა არევ-დარევა. (25). დასასრულ, პოლიტიკა არის ისეთი მოწესრიგებელი ფუნქცია საზოგადოებისა, რომელიც მიმართულია მისი გარეგანი დაცვის მიზნისაკენ და აგრეთვე სხვა მოწესრიგებულ საზოგადოებათა შორის კავშირის დასაჭერად, მეორე მხრით, იგი ისეთი ფუნქციაა საზოგადოებისა, რომელიც უმაღლესად თვალყურს ადევნებს მოწესრიგებულ სოციალურ თანამშრომლობასა და სცდილობს კანონ-განზომილი მიმართულება მისცეს ყველა სოციალურ მისწრაფებათა და მიზანთა—(29).

აქ შევჩერდეთ. ჩვენ ვალაპარაკეთ თვით ავტორი, რათა თხზულების მთავარი დებულებანი სისწორით გადმოგვცა მკითხველისთვის. ჩვენ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება ორგანიული თეორიის მთავარ დებულებებზე. ვისაც არ აკმაყოფილებს **Bàton**-ის დასაბუთება ორგანიულის თეორიისა, უნდა მიჰმართოს იმ წყაროებს—სოციოლოგიურ ლიტერატურას, რომელსაც ემყარება ჩვენი ავტორი, განსაკუთრებით კი დე-გრეფის და შტამლერის თხზულებათ. საზოგადოების ორგანიული თეორია ავტორს დე-გრეფისაგან აქვს შეთვისებული. ხოლო მოწესრიგების პრინციპი შტამლერმა შეაგნებინა. უნდა ვსთქვათ, რომ **Bàton**-ი ბრმად არ მისდევს ევროპის ავტორიტეტებს. მართალია, დე-გრეფის ორგანოგრაფიას აღიარებს იგი, ითვისებს მის მეთოდს საზოგადოებრივ მოვლენათ კლასიფიკაციისას, მაგრამ ამ კლასიფიკაციას არა ისტორიულ სინამდვილის კვლევისათვის ხმარობს იგი, არამედ მარტოოდენ როგორც მეთოდს სოციალურ ცნობის განსაზღვრისათვის. გარდა ამისა, ჩვენი ავტორი არ იწყნარებს დე-გრეფის უკიდურეს მატერიალისტობას, თუმცა მისს კონტრაქტუალიზმს სავსებით თანაუგრძნობს. რაც შეეხება სუპერ-ორგანიზმის ცნებას და საზოგადოების აღიარებას ერთ მთლიან სხეულად და განუყოფელ მონადად, აქ ჩვენი ავტორი მედგრად იცავს დე-გრეფის ორგანიული თეორიას, რომელიც ამ უკანასკნელს სავსებით აქვს განმარტებული თავის **jntroduction á la socioluqie**-ში. ამ თხზულების პირველ ტომის მეხუთე თავში ავტორი იმ აზრსაც კი აღიარებს, რომ სოციოლოგია დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად იმიტომ ხდება, რომ მას თავისი განსაკუთრებული ობიექტი აქვს კვლევისა და ეს ობიექტი სოციალიური ორგანიზმი ანუ სუპერ-ორგანიზმია. ვისაც აინტერესებს ამ აზრის ზედმიწევნით ანალიზი, მიჰმართოს ხსენებულ თხზულებას.

გარეგნულად მოწესრიგების პრინციპი, როგორცა ვსთქვით, შტამლერის აზრია. შტამლერის თეორიით გარეგნული მოწესრიგება არის აუცილებელი პირობა სოციალური ცხოვრებისა. და ამ გარეგნული მოწესრიგების წყალობით საზოგადოება ხდება განსაზღვრულ ობიექტად სოციალური მეცნიერებისა. (**Хозяйство и Право Томъ I стр. 103**). ხოლო აქვე უნდა განვმარტოთ, რომ როდესაც გარეგნულ მოწესრიგებაზე ლაპარაკობს შტამლერი ყოველთვის სახეში არა აქვს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. სახელმწიფო, მისის აზრით, მხოლოდ ერთი ფორმათაგანია სოციალური ცხოვრებისა (იქვე. 112). ამიტომ გარეგნული მოწესრიგება არის ხოლმე არა მარტო უფლებრივი, არამედ კონვენციონალური, არა მარტო ძალდატანებითი ნორმებზე დამყარებული, არამედ კონტრაქტზე და თავისუფალ შეთანხმებაზედაც დაფუძნებული.. აქ შტამლერი უახლოვდება დე-გრეფს, ფულიეს და სხვათა, რომელთა აზრითაც ნამდვილი საზოგადოებრივობა არის კონტრაქტზე აგებული ორგანიზმში. **Bàton**-ის უნარი კი იმაში გამოისახა, რომ მან ამ ორ სოციოლოგთა დებულებანი შეჰკრა მაგარის კვანძით და სინტეზის საშუალებით რეგულიარიზაციის და მოწესრიგების ცნება ორგანოგრაფიას დაუკავშირა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ავტორი ფრიად საყურადღებოდ განსაზღვრავს ეროვნების, ხალხოსნობის და სახელმწიფოებრივობის ცნებათ. ამ ცნებათა ანალიზზე ჩვენ არ შევდგებით. კაცობრიობის შესახებ კი უნდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა. სრული ჭეშმარიტებაა, რომ კაცობრიობა ერთ სხეულს, ორგანიულ მთელს არ წარმოადგენს და რომ ოგიუსტ კონტი ძლიერ სცდებოდა, როდესაც სოციოლოგიური მეცნიერების ობიექტად ამ სოციალურ ფიქციას (კაცობრიობას) სთვლიდა. მაგრამ, ჩვენის აზრით, „**Baton**"-ი ისე არის გატაცებული იმ აზრით, რომ ელემენტი სოციოლოგიურის მეცნიერებისა უნდა იყოს ერი, განუყოფელი ერთეული, და არა კაცობრიობა, სინამდვილეში არ-არსებული მთლიანი სხეული, რომ თითქმის არ ხედავს იმ კავშირს, რომელიც, მიუხედავად სხვა და სხვაობისა, არსებობს კაცობრიობის შემადგენელ ნაწილებს შორის. ჩვენ აქ სახეში ინტერნაციონალური სამართალი არა გვაქვს. ამ სამართალს **Bâton'**-იც უსვამს ხაზს. ჩვენ ვგულისხმობთ სხვა რამეს.

საყურადღებოა, რომ კაცობრიობის სხვა და სხვა რასანი და ერნი ერთი და იგივე გზა განვლეს თავის განვითარება-ევოლუციაში. პატრიარხატი ყველგან უძღოდა წინ პატრიარხატს, ფეტიშიზმი და ანიმიზმი პოლიტეიზმს, კლანი წინ უძღოდა ქალაქს (**citè**) და ქალაქი სახელმწიფოს და სხვა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ამბობს მაქსიმ კოვალევსკი თავის წინასიტყვაობაში, რომელიც მან მიუძღვნა ერთ იტალიელ სოციოლოგიის თხზულებას, სოციალური ემბრიოლოგიის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. (**La Sociologie genétique par Consentiui introduction de M. Kovlevssy. p. VII**). თვით კონსენტინი თავის გენეტიურ სოციოლოგიაში ამბობს: „ჩვენ გაკვირვებულნი ვართ, როდესაც ვაკვირდებით იმ მსგავსებას, რომელიც არსებობს პირველ ყოფილ საზოგადოების და აწ არსებულ ველურ ტომთა შორის. ეს მსგავსება უფლებას გვაძლევს ერთად მოვუყაროთ თავი ცხოვრების საერთო ნიშნებს და წარმოვიდგინოთ იგი, როგორც ერთი რამ ორგანიული (იქვე გვ. 203).

ანალოგიური საფეხურების გავლა კაცობრიობის სხვა და სხვა ნაწილების მიერ არ გვაძლევს, რა თქმა უნდა, საბუთს მთელი კაცობრიობა ერთ მთლიან სუპერ-ორგანიზმად დავსახოთ, მაგრამ ეს შესანიშნავი მოვლენა განვითარების კანონთა ერთგვარობისა [illegible] იმ გარემოებაზე, რომ კაცობრიობის შემადგენელ ნაწილთა შორის ისეთი ღრმა უფსკრული არ არსებობს, როგორადაც იგი ეჩვენება ჩვენს ავტორს.

ასე თუ ისე, სავსებით მართალია **Báton** ი, რომ სოციალური მეცნიერების ობიექტად კაცობრიობა კი არ უნდა დავსახოთ, არამედ მისი ორგანიული შემდგენელი ელემენტი ერი. ერი—კონკრეტული საზოგადოებაა და ამ კონკრეტული ერთეულის შესწავლიდან უნდა გამომდინარეობდეს როგორც თეორიული კვლევის დებულებანი, ისე პრაქტიკულ პოლიტიკის მოქმედებანი. თუ რანაირად არის დაკავშირებული პრაქტიკული მოქმედების გეზმა ამ თეორიულ საფუძველთან, ამას შემდეგ წერილში დავინახავთ.

არჩილ ჯორჯაძე.

პირველი შემოსვლა რუსეთისა საქართველოში მე-თვრამეტე საუკუნეში.

სამწუხაროდ ბ-ნმა გარსევანიშვილმა თავისი მუდამ ენა წყლიანი და ტკბილად მოსასმენი ლექცია ისე ხმა დაბლა წაიკითხა—ალბად ავადმყოფობის მიზეზით, რომ პირველ რიგებში მყოფ მსმენელებსაც კი გაუჭირდათ ყური მოეკრათ ნალაპარაკევისთვის.

როცა ლექტორი ამგვარ სისუსტეს გრძნობს ხოლმე, საჭიროა კათედრა შუაგულ სცენაზედ კი არ იდგას, წინ სუფლიორის ბუდკასთან წამოიწიოს, ამითი უფრო გაადვილდება მოსმენა. აუდიტორია ხალხით სავსე იყო. ორივე ლექტორი მადლობით მიიღეს და გააცილეს...

ჯაფარ-ფაშა.

მუშათა გაფიცვა საფრანგეთში

„მეთვალყურე კომიტეტი".

„ლუმანიტეში" დაბეჭდილია მოგონებანი საფრანგეთის დღევანდელ მინისტრ-პრემიერის ბრიანის შესახებ.

ამ 12 წლის წინედ რკინის გზის გაფიცვა მოხდა. მაშინ გაფიცულებმა შეადგინეს „მეთვალყურე კომიტეტი", რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა, რომ მთავრობას უკანონო ზომებით არ ჩაეშალა გაფიცვა. ამ კომიტეტის წევრებად იყვნენ: ბრიანი, მილერანი და ვივიანი. ამასთანავე ბრიანი „რევოლიუციონერთა კავშირის" (Coalition Revolutionaire) წარმომადგენელი იყო და თავის ბინაზე ჰფარავდა რკინის გზის კავშირის მთავარ მდივანს, რომელსაც პოლიცია დაეძებდა. დღეს კი იგივე ბრიანი მტრად გადაექცა გაფიცულ მუშებს.

ჟორესი და ბრიანი.

ჟორესმა თავისს გაზ. „ლუმანიტეში" მოათავსა წერილი ამ სათაურით: „ბრიანი-ფრანკო". ამ წერილის ავტორი საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელ ბრიანს ადარებდა პორტუგალიაში ნამყოფ დიქტატორს — ფრანკოს, რომლის მხეცურმა სისასტიკემ დააჩქარა პორტუგალიის რევოლუცია. ავტორი, სხვათა შორის, ამბობდა, რომ ფრანკოს რეჟიმმა მეფე კარლოსის მოკვლამდე მიიყვანა პორტუგალიის ხალხი. „ლა რეპუბლიკი" და „პატრი" ამ წერილში ტერორისტულ მოწოდებას ხედავენ ბრიანის წინააღმდეგ.

ამაზე ჟორესმა უპასუხა, რომ აქ არავითარი სატერორო მოწოდება არ არის, მით უმეტეს, რომ თვითონ ფრანკოც არავის მოუკლავს, ის მხოლოდ გაიპარა სამშობლოდან და ცოცხალია, თუმცა სამშობლოს მიერ მოძულებულიაო. აი, რა მოელის ჩვენს მინისტრებს, თუ ისინიც პორტუგალიის დიქტატორის გზას დაადგებიანო.

სოციალ. დეპუტატების მოწოდება.

„საფრანგეთიო—ამბობს ჟორესი—რაც უნდა იყოს, ისე მდაბლად არ დაეცემა, რომ კერძო პირთა მკვლელობაში დაინახოს ქვეყნის ხსნა რეაქციონურ მთავრობისაგან, რომელიც რესპუბლიკას არცხვენსო".

პალატის სოციალისტურ ჯგუფმა, გაფიცვის დასრულების გამო, მოწოდება გამოსცა, რითაც სასტიკად ჰკიცხავს ბრიანის პოლიტიკას, როგორც რენეგატს, რომელსაც ცილის წამებისა, თვითნებობისა და დაპატიმრების გარდა საბრძოლველი იარაღი არ გააჩნია. ბურჟუაზიამ სამარცხვინო დაღი დაიკრა მას მერე, რაც თავის ბელადებად ნამყოფი რევოლუციონერები წაიმძღვარა, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ მათ შესწავლილი ჰქონდათ რევოლუცია და მისი დასამხობი ხრიკებიცაო.

გაფიცვის კომიტეტი.

გაფიცვის კომიტეტმაც გამოსცა მოწოდება და ბრიანსა ჰკიცხავს, თავისუფლების ძირითადი საფუძვლები დარღვიე და პოლიციელები მოგვისიეო. გაფიცვა დამარცხდა, მაგრამ ჩვენ სულით არ ვეცემით და ახალის ბრძოლისათვის კვლავ ძალ-ღონეს მოვიკრებთო.

უცხოეთი

ინგლისი და რუსეთი ადასტურებენ პორტუგალიის რესპუბლიკას.

როგორც გაზეთები იუწყებიან, რუსეთსა და ინგლისს მოლაპარაკება ჰქონიათ. და შეთანხმებულან, რომ პორტუგალიის რესპუბლიკა კანონიერ მთავრობად აღიარონ. ამ დადგენილებას ჯერ ინგლისი განუცხადებს პორტუგალიის დროებით მთავრობას, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ—რუსეთი.

ყოფილი მეფე მანუელს.

დროებითმა მთავრობამ დაადგინა გასტუმრონ მეფის ვალები და ყოველწლიურ პენსიად დაუნიშნონ 500,000 ფრ. (190 ათასი მანათი).

პარტიათა შეთანხმება.

დროებითი მთავრობას მოლაპარაკება ჰქონდა სოციალისტურ პარტიების ლიდერებთან. მოლაპარაკებას შეთანხმება მოჰყვა. დროებითმა მთავრობამ აღთქმა დასდო, რომ სოციალურ რეფორმების მინიმუმს მაინც განახორციელებენ და დააკანონებენ.

ხალხი მთავრობას ეხმარება.

პორტუგალიის ხალხი დაუზოგველად სწირავს ფულს, რათა მთავრობას გადაიხადონ წინანდელ მეფეთა მიერ ადებული ვალების გასტუმრება. მოხელეები და ოფიცრებიც თავის ჯამაგირიდან ერთ ნაწილს ამავე საქმეს ახმარებენ.

ესპანია რესპუბლიკის მოლოდინში.

როგორც გაზეთები იუწყებიან, ესპანიაშიაც ძალიან ფეხს იდგამს რესპუბლიკანური მოძრაობა. არამც თუ ბარცელონასა, სევილს, ბილბაოსა, სარაგოსაში, არამედ თვით სატახტო ქალაქ მადრიდშიაც ახალ არჩევნების დროს რესპუბლიკანელებმა უმთავრესი ხმა მიიღეს. დღეს პარლამენტში 40 რესპუბლიკანელი დეპუტატია. უმთავრესად მათს ხელშია ყველა გავლენიანი გაზეთები.

რესპუბლიკანელთა ბელადი ლერუ დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკის დამყარება ისპანიაში ახლო მომავლის საქმეა.

ყაზარმებში დიდი აგიტაციაა რესპუბლიკის სასარგებლოდ. ბარცელონის გარნიზონი რესპუბლიკის მომხრეა.

როგორც ნამდვილ ცნობებიდან სჩანს, ისპანიაში თითქმის 80 ათასი ბერია. მათ ხელში ჩაუგდიათ მთელი ისპანიის წარმოება. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბერებს ხარჯს არ არომევენ და სამუშაო ხელიც მუქთი ჰყავთ, დარწმუნდებით თუ რა მოქიშპეობას უწევენ ისინი მთელს ხალხს და მის აღებ-მიცემობას.

ხალხის განათლებასაც იეზუიტები დაჰპატრონებიან. ამისათვისაა, — ამბობს ლერუს,—საჭიროა, არამც თუ კონგრეგაციების დაკეტვა და შემცირება, არამედ მათი სრულებით განდევნაო.

ისპანია და მაროკო.

ისპანია მაროკოს კონტრიბუციად სთხოვს 130 მილიონ ფრანკს (50 მილიონ მანათს) უკეთუ მაროკომ არ გარდაიხადა ეს თანხა, ესპანია ახალს გალაშქრებას აპირებს მაროკოზე.

რადგანაც მაროკოს საქმეებით საფრანგეთიცაა დაინტერესებული და ესპანია კი საფრანგეთის დაუკითხავად აპირებს საქმის დაწყებას. ფიქრობენ, რომ საქმე გამწვავდება და ესპანია, შესაძლოა, უკიდურეს პირობებში ჩავარდეს.

ვილჰელმი ბრიუსელში.

20 ოქტომბერს (ახალის სტილით) ბრიუსელის ქუჩებში სოციალისტებმა აფიშები გააკრეს, სადაც გერმანიის იმპერატორ ვილჰელმს ეხებიან. ვილჰელმი ამ დღეებში ბრიუსელში აპირებს მისვლას. ამის გამო აფიშებში გულის წყრომას აცხადებენ, რომ მეფე, რომელმაც თავის ხალხს საყოველთაო საარჩევნო უფლებაც კი არ მიანიჭა, ღირსი არაა შეხვედრისაო.

რუსეთი

ჯამაგირები მღვდლებს.

ამ დღეებში, მიტროპოლიტ ფლავიანეს თავმჯდომარეობით უწმ. სინოდს კრება ჰქონდა. ითათბირეს სასულიერო წოდების ნივთიერად გაუმჯობესებაზე. კრებამ სასურველად მიიჩნია, რომ ხაზინამ ჯამაგირები დაუნიშნოს მათ: მღვდელს—1200 მანათი წელიწადში, მთავარს—800 მან., მედავითნეს 600 მან. ასეთ ჯამაგირების დაწესების შემდეგ სამღვდელოებას ნება აღარ ექმნება მრევლს გადაახდევინოს რამე. ჯვარის წერა, მონათვლა, ანდერძის აგება, ზიარება და ყველა მღვდელმოქმედების ასრულება უფასო იქნება. ხოლო, თუ მრევლი მოისურვებს, რომ რომელიმე წესი თავის სახლში გადაახდევინოს მღვდელს, ამ შემთხვევაში საქმე მორიგებით თავდება.

მოულოდნელი არეულობა სათათბიროში.

როგორც გაზეთები სწერენ, სახელმწიფო სათათბიროს გახსნის პირველ დღესვე, 17 ოქტომბრის კავშირის წევრნი აპირებენ, რომ განსვენებულ ს. ა. მურომცევის ხსოვნას პატივი სცენ რითიმე.

ამ საკითხმა ახლავე გული აუჩქროლა ჭეშმარიტ რუსთა კავშირს და ურჩევენ ოქტომბრისტებს: უმჯობესია მაგისთანა არა გაბედოთ რა, თორემ ჩვენ მაინც ხელს შეგიშლით და სირცხვილი შესჭამთო.

როგორც ირწმუნებიან, რუსთა კავშირის წარმომადგენელ დეპუტატებს ძალიან ექავებათ ენა და პირისახე.

მოულოდნელი ცვლილება.

როგორც „უტრო როსსიი"-ს შეუტყვია, ამ მოკლე ხანში შესამჩნევი ცვლილება მოხდება კავკასიის ადმინისტრაციაში. ამბობენ ვითომც ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ დაშკოვი სამსახურს თავს ანებებს. მის მოადგილედ ასახელებენ სამხედრო მინისტრს სუხომლინოვს. ხოლო ამ უკანასკნელის ადგილზე მის ამხანაგ გენერალ პოლივანოვსა ნიშნავენო.

ახალი პროგრამმა კომერციულ სასწავლებლისა.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავა კომერციულ სასწავლებლის ახალი პროგრამა. კურსი ამ სასწავლებელში 7—8 წლიანი იქნება. პროგრამა გაფართოვებულია. განზრახვა აქვთ, 8 კლასიან კომერციულ სასწავლებელში კურს დამთავრებულთ უფლება მიანიჭონ, რომ უეგზამენოდ შევიდნენ უმაღლეს კომერციულ ინსტიტუტში.

ახალი პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებას აქცევს; ამისათვის სავალდებულოდ საგნადაა აღიარებული ხელოსნობა.

კიდევ პურიშკევიჩი

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ცნობილ პურიშკევიჩს რუსთა კავშირის სახელით მადლობა გადაუხდია პეტერბურგის ქალაქის თავის თავის გლაზუნოვისათვის, რადგანაც მისის მეოხებით ქალაქის საბჭომ თავი არ შეირცხვინა და განსვენებულ ს. ა. მურომცევის პატივსაცემად ფეხზე ადგომა არ მოისურვაო. ასეთი საქციელი ჭეშმარიტი ვაჟკაცობააო—უთქვამს პურიშკევიჩს.

განცხადებანი

ძმათა ავსარქისოვების

ბაღსა და სანერგეში

მოიპოვება საზღვარ-გარეთისა, რუსეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილი.

კატალოგები იგზავნება მოთხოვნისათანავე უსასყიდლოდ.

მისამართი: სად. სკრა, ამიერ-კავკასიის რკინის გზისა.

(15—55—14) **ავსარქისოვი**

ექიმი ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—199)

დოქტ. ნავასარდიანისა

უყველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი: 6—8 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მიიღება ხელის-მოწერა

ივანე როსტომაშვილისაგან გამოცხადებულ 24 ქართულ წიგნზე. რვა უკვე გამოვიდა: „თვით-მოქმედება", „თვით-განვითარება", „ვაზის მოშენება და ღვინის დაყენება", „პურის თესვა-მოყვანა", „საქონლის მოშენება", „ალავერდა-პალახის (ლიუტერნას) თესვა-მოყვანა", „ორსულობა-მშობიარობა" და „ბინის საკითხი-ქლექი". ფასი 24 წიგნისა გაგზავნით 2 მანეთი. ადრესი: въ Тифлисъ, Тумановская пер. 24. Ив. П. Ростомашвили. (4—142—2)

მშობიარეთათვის

თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., საბებიო ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასაჟი ყოველ-დღე დილის 6—დან ნაშუადღევის 1 ს. (თ.—711-11)

დაიბეჭდა და მალე გამოვა

ბედი ოსტატისა

გამოცემა **მიხეილ ნემსაძისა**

ფასი 10 კაპეიკი.

ადრესი:
ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა.

ხილეულობის, ხელოვნური მინერალური და სამკურნალო წყლები

მ. ლაღიძისა და ამხ.

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნითა და საუკეთესო ხილეულის შარბათით, გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ მანქანებით სპეციალისტის მუდმივის ხელმძღვანელობით.

წყლების კარგი ღირსებისათვის ქარხანა დაჯილდოვებულია ოქროსა და ვერცხლის მენდლით.

ქარხნები: ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე ტელეფ. № 411. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე.

საბუღალტრო კურსები

ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.

ი. ფონ-ბრენნერისა,

(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა).

კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ.

კლასები აძლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას ორივ სქესის პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუჰალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარმოების აგენტისა და სხვ.

კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) **ბუჰხალტერიას** (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება: საბანკო, საფაბრიკო, საქალაქო და საერობო საბჭოების, არყის მონოპოლიის, სახაზინო, სასოფლო სამეურნეო და სხვა. სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევიან საკუთრივ აწარმოონ წიგნები. 2) **კომ. არითმეტ.**—საბანკო, საქონლისა, სავექსელო და სხვა ანგარიშებისა. 3) **კორესპონდენტიას**—კომერციულ წერილების შედგენა საბუჰხალტრო სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და სავაჭრო კანონების მიხედვით, 4) **კალლიგრაფიას**—ხელის გასწორებას სხვა და სხვა ხასიათის შრიფტების შესწავლას: 5) **კანონდებას**—სავექსელო, საგერბო სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წოდებათა შესწავლას. 6) **საწერ მანქანებზე წერას;** მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გაიკეთონ. ამასთანავე ტეხნიკოსის ზედამხედველობით შეისწავლონ ტეხნიკა და მანქანების მექანიზმი. 7) **საქონლის ცნობას,**—გააცნობს მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შედგენილობას და იმის თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეტი აქვს მოწყობილი. 8) **ანგარიშის ჩოთქზე**—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ჩოთქზე. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განვითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან. მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.

კლასსებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიანთ იქონიონ პრაქტიკა ი. ფონ-ბრენნერის სატეხნიკო და სავაჭრო—სამრეწველო ბიუროს კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის.

კლასები შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1 განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2-ში—საქალაქო ან ოთხკლასიან საშუალო სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3-ში—ბუხალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასსების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის ხიდთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღიაა ყოველ-დღედილის 9 ნ 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1044 (20—ბუხ—17)

ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

ტფილისი, ფოსტის ქ., სახლი ზუბალაშვილისა, № 6.

ამით აუწყებს თავის პატივცემულ შემკვეთებლებს, რომ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელეთა ფორმის ტანისამოსისათვის რუსეთისა და საზღვარ-გარეთის განსაკუთრებით სახელ-განთქმულ ფაბრიკებისაგან შევიძინე დიდძალი მაუდეულობა. ყველა ტანისამოსს ჰკერენ გამოცდილი ხელოსნები

ჩემის ხელმძღვანელობით

ყველა დაკვეთილი ტანისამოსი იკერება სუფთად და კეთილ სინიდისიერად. (20—127—2)

ტფილისის კანტორა

აუწყებს ბ.ბ. მსყიდველებს, რომ გახსნილია შაქრის სავაჭრო

ხარკოვის ამხანაგობისა შაქარ-რაფინადის ქარხნისა

ადრესი: ტფილისი, ფრეილინის ქ სახლი № 3, ტელეფონი 567.

საწყობი ველიამინის ქუჩაზე, სახლი № 12. ა. გ. ხნეუკოვი.

(10—144—1)

საზღვარ-გარეთის შამპანიური

სხვა და სხვა ცნობილ მარკებისა შეიძლება შეიძინოთ

მ. ნაზარბეგოვის საწყობში

სასახლის ქუჩაზე.

„მუმი" კორდონ რუჟ, კორდონ ვერტ, ექსტრა-დრეი და კარტ-ბლანშ „ლ. რედერერი". ექსტრა-დრეი აი სილერი და კარტ-ბლანშ. „ორიგინალი" მშრალი და ნახევრად მშრალი. „მოეტი და შადონი" ვაიტ-სტალი და სეკი. „პიპერო გეიდციკი" მშრალი და ნახევრად მშრალი. „ლ. რედერერი" კრისტალ „მონოპოლ-გეიდციკი" მშრალი და ნახევრად მშრალი.

ვურჩევთ აგრეთვე აბრაუ-დიურსოს და ახლად მიღებულ იაფ-ფასიან ღვინის შამპანიურს. ზემოდ აღნიშნული ზოგიერთი შამპანიური ნახევარ-ბოთლობითაც იყიდება. განსაკუთრებით გურჩევთ უმაღლესის ხარისხის მადერას, პორტვეინს, ხერესს, მალაგას, მარსალს, შაბლს ძველს შატო-ლაფატს, ბონტე-კანეს და ბორდოელსა, რეინელსა და ტაგაიელ სხვა და სხვა ღვინოებს. სამკურნალო ქინაქინის ღვინო წმ. რაფაელისა და ვერმუტისა, საზღვარ-გარეთის ლიკიორები, კიევის ნამდვილი ნალივკები. ინგლისური პორტერი და ელი. ერთად-ერთი საწყობი რიგის ლუდისა „ვალდშლეგხენისა", ფრანგული კონიაკები. ცნობილ „გრანდ-მარკასა" რანდონსა და სხვათა მარკების, რომელიც ჩვენის საწყობიდან გამოდის, მუშტრის დიდი ყურადღება დაიმსახურეს თავისი მშვენიერის გემოთი და სუნით, რისთვისაც მუშტართა რიცხვი პროგრესიულად იზრდება, რასაც მივაქცევთ მყიდველთა განსაკუთრებულ ყურადღებას.

აქვე იყიდება საზღვარ-გარეთის სიგარები.

ფასები ზომიერია

(141 1—1)

გარეშე ქალაქებში მცხოვრებთაც შეუძლიანთ დაიკვეთონ.

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითოევის მრეწველობისა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

ძმ. მეგველოვების მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა ახალი, (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია ღვინის ორაგული (სიომგა)

და წითელი ხიზილალა (Кетовая). (ჩ.—128—4)

ერთად-ერთი საწყობი ფითოევის მრეწველობისა.

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

სტამბა „ხინათლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სოლოლაშვილი.